

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს 21.01.14 წლის სხდომის №4 ოქმის საფუძველზე, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობა, რომელიც შეადგენდა 169 642 ლარს, შემცირდეს 5 720 ლარით და მიემართოს ტრანსფერის სახით ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში ფიზიკა-მათემატიკის პროფესორ-მასწავლებელთა დაფინანსების მიზნით, ხოლო ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობა განისაზღვროს 163 922 ლარით. ასევე, განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება და მოგების გადასახადიდან 3 800 ლარი გადატანილ იქნეს არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში;

2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 2014 წლის 18 მარტის სხდომის №6 ოქმის საფუძველზე, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობა გაიზარდოს 6 587 ლარით და საბოლოოდ განისაზღვროს 50 866 ლარით;

3. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 2014 წლის 19 მარტის სხდომის №10 ოქმის საფუძველზე, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხის მოცულობა გაიზარდოს 250 000 ლარით და განისაზღვროს 4 813 500 ლარით;

4. ყოველივე ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვამ განიცადოს ცვლილება და გაიზარდოს 250 867 ლარით.

რაც შეეხება აღნიშნული თანხის ხარჯვით ნაწილს, იგი გაიწეროს ხარჯების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში:

- ოფისის ხარჯები: საკანცელარიო ხარჯები - 2 500 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთებისა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები - 38 700 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯები - 1 500 ლარი;

- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები: სესიების, კონფერენციების, ყრილობების და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯები - 1 000 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება „საქონელსა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში - 20 000 ლარი;

- არაფინანსური აქტივები: სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები - 95 167 ლარი;

- ასევე, რადგან სტუ არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2013-2014 წლის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული და თანადამფინანსებელი ორგანიზაცია 92 000 ლარი აისახოს სუბსიდიის მუხლში და შემდგომ განხორციელდეს აღნიშნული თანხის გადარიცხვა გამარჯვებული პროექტების მიზნობრივ ანგარიშებზე.

- საბოლოოდ, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტი განისაზღვროს 6 918 099 ლარით და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი აისახოს სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში.

5. საფაკულტეტო ბიუჯეტებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

5.1. სამშენებლო ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდოს 371 100 ლარით და განისაზღვროს 3 612 100 ლარით. აღნიშნული შემოსავლიდან 125 000 ლარი დამატებით მიმართულ იქნეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების (ფიზიკა, მათემატიკა) პროფესორ-მასწავლებლების შრომის ანაზღაურების მიზნით; ხოლო ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი თანხა დარჩეს უცვლელი, რომელიც შეადგენს 643 862 ლარს. ასევე, მოგების გადასახადიდან 11 400 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში; საბოლოოდ, ფაკულტეტისათვის განსაკარგავი თანხა განისაზღვროს 2 853 870 ლარით, რომლის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვაში, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

5.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი სტატუსების აღდგენისა და მობილობის შედეგად გადმოსული სტუდენტების მატების ხარჯზე გაიზარდოს 306 907 ლარით. აღნიშნული თანხიდან 64 000 ლარი დამატებით მიმართულ იქნეს

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში, ზოგადსაუნივერსიტეტო (ფიზიკა, მათემატიკა) საგნების პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა დამატებითი შემოსავლებიდან განისაზღვროს 242 907 ლარით.

ფაკულტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსავალი, გარდამავალი ნაშთის ჩათვლით, განისაზღვროს 4 186 014 ლარით, ხოლო ასიგნებები - 3 558 112 ლარით, რომლის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვაში, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

5.3. სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 303 672 ლარით და შემოსავლები განისაზღვროს 2 542 941 ლარით, საიდანაც ადმინისტრაციისა და ადმინისტრირებისათვის გადასაცემი მოცულობას ემატება 6 587 ლარი. ასევე, განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ, მოგების გადასახადიდან ნაშთის სახით დარჩენილი 7 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში.

საბოლოოდ, ადმინისტრირებისათვის გადმოსაცემი მოცულობა განისაზღვროს 50 866 ლარით, ხოლო ფაკულტეტისათვის განსაკარგავი ასიგნებები, გარდამავალი ნაშთის გათვალისწინებით განისაზღვროს 2 517 313 ლარით, რომლის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვაში, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

5.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი, მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობის (15 სტუდენტი) გაზრდის ხარჯზე, გაიზარდოს 25 312 ლარით და მიმდინარე წლის შემოსავალი გარდამავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 3 150 111 ლარით, ხოლო ასიგნებები - 2 881 475 ლარით, რომელიც ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

5.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდოს 254 138 ლარით, რაც გამოწვეულია მობილობით გადმოსული 148 სტუდენტის მატებით და მიმდინარე წლის შემოსავალი განისაზღვროს 4 469 138 ლარით, ხოლო საბოლოოდ, შემოსავალი, გარდამავალი ნაშთის ჩათვლით - 4 526 738 ლარით. აღნიშნული მოცულობიდან ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა, სულ ასიგნებები შეადგენს 3 920 500 ლარს, რომელიც გაწერილია ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის.

5.6. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი, სტუდენტთა სტატუსის აღდგენისა და მობილობის შემდეგ (491 სტუდენტი), გაიზარდოს 810 150 ლარით. სულ შემოსავლი განისაზღვროს 11 916 340 ლარით, საიდანაც 250 000 ლარი უნდა აისახოს ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტში, ხოლო 26 400 ლარით შემცირდეს და იგი დამატებით ტრასფერის სახით გადაეცეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან, ზოგადტექნიკურ საგნებში (ფიზიკა, მათემატიკა) ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით.

ფაკულტეტისათვის განსაკარგავ მოცულობას დაემატოს 560 150 ლარი და ასიგნებები განისაზღვროს 7 102 840 ლარით, რომლის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის.

5.7. განხორციელდეს ცვლილება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში, როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილში, კერძოდ: სტუდენტთა დაზუსტებული რაოდენობიდან გამომდინარე (მობილობა, აღდგენები) სწავლის საფასური განისაზღვროს 7 932 263 ლარით.

იმის გამო, რომ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ხორციელდება ზოგადტექნიკური საგნების (ფიზიკა, მათემატიკა) სხვა ფაკულტეტებზე სწავლება, შესაბამისად ფაკულტეტების მიერ ხორციელდება თანხების უზრუნველყოფა, რომელიც წლის განმავლობაში ჯამში შეადგენს 651 000 ლარს და საჭიროებს აღნიშნული თანხით ბიუჯეტის გაზრდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფაკულტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 8 583 263 ლარით. ასევე, 2013 წლის 30 დეკემბრის სენატის გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთის სახით აისახოს 325 733 ლარი.

საბოლოოდ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დაზუსტდეს და განისაზღვროს 8 908 996 ლარით, ხოლო ფაკულტეტის განსაკარგავი მოცულობა, სულ ასიგნებები – 8 190 076 ლარით, რომლის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვაში, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის.

5.8. დიზაინის საერთაშორისო სკოლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის პუნქტიდან 13 398 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლში; ხოლო მოგების გადასახადიდან 693 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში.

5.9. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლებიდან შემოსავალი გაიზარდოს 2 733 422 ლარით და სულ შემოსავალი, გარდამავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 695 010 ლარი. საბოლოოდ, სწავლებიდან შემოსავალმა შეადგინოს 40 547 297 ლარს, საიდანაც ფაკულტეტებისათვის განსაკარგავი ასიგნებები უნდა განისაზღვროს 32 835 451 ლარით.

ყოველივე ცვლილებამ ასახვა ჰპოვოს სტუ-ს დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში.

6. შიდა საუნივერსიტეტო პროექტებში და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

6.1. სამეცნიერო პროექტის №78 (ხელმძღვანელი ანა მანაგაძე) ხარჯთაღრიცხვის, საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი „საქონელსა და მომსახურებაზე“ გაწეული ხარჯით გათვალისწინებული 568 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

6.2. სამეცნიერო პროექტის №59 (ხელმძღვანელი დავით ნოზაძე) ხარჯთაღრიცხვის, ოფისის ხარჯების „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის პუნქტიდან“ 500 ლარი და „საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმანის მომსახურების ხარჯებიდან“ 1 000 ლარი; სულ ჯამში - 1 500 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, საქონელი და მომსახურების „საქონელსა და მომსახურებაზე“ გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება პუნქტიდან, 650 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

8. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 130 ლარი, ხოლო საკანცელარიო ხარჯებიდან 100 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯების პუნქტში;

9. მორიგი ცვლილება გამოწვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 3 აპრილის №393 ბრძანებისა და 2014 წლის 4 აპრილის წერილის საფუძველზე და ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას 5 თვით (მიმდინარე წლის მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი და ივლისი). აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებები შეადგენს 444 000 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 444 000 ლარით და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს სხვა ხარჯების სტიპენდიების მუხლში;

10. უნივერსიტეტის ყოფილ მოიჯარებთან, რომელთაც დღემდე აქვთ სტუ-ს მიმართ ფინანსური დავალიანება, შედგა წერილობითი შეთანხმებები დარჩენილ დავალიანებათა გადახდის გრაფიკის თაობაზე, რის შედეგადაც უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უნდა გაიზარდოს 26.573 ლარით ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ნაწილში და გაიწეროს ხარჯვით ნაწილში;

11. ადმინისტრაციის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 7500 ლარი, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის გზამკვლევების შესაძენად, გადატანილი იქნას რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლის, ფარდა-ჟალუზებისა და გზამკვლევების შეძენის ხარჯების პუნქტში;

12. ადმინისტრაციის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, კადრების მომზადება გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 15.000 ლარი გადატანილი იქნეს იჯარასა და ქირასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლში, რაც გამიზნულია კვების მრეწველობის ინსტიტუტში (თბილისი, გურამიშვილი №17) განთავსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი საცხოვრებლის დასაქირავებლად, რათა დროულად განხორციელდეს შენობის რესტრუქტურირება;

13. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და, შესაბამისად, ნაერთი ბიუჯეტის პერსონალის დაზღვევის მუხლში 17.500 ლარი გადატანილი იქნას შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის 2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ მუხლი ნაცვლად 191 700 ლარისა განისაზღვროს 635700 ლარით, ხოლო იჯარების ხელშეკრულებებიდან შემოსავალი ნაცვლად 111 000 ლარისა განისაზღვროს 137 573 ლარით. საბოლოოდ, უნივერსიტეტის 2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 54 475 578 ლარით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ზოგიერთი კატეგორიის სტუდენტთა 2013-2014 სასწავლო წლის სწავლების საფასურის ნაწილობრივი ან სრული გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ.

სენატმა დაადგინა: ზოგიერთი კატეგორიის სტუდენტები განთავისუფლებულ იქნენ 2013-2014 სასწავლო წლის სწავლების საფასურის ნაწილობრივი ან სრული გადახდისაგან, კერძოდ:

1. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №1025 – სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული ლაშა ცელაძე განთავისუფლებულ იქნეს დარჩენილი დავალიანებისათვის საჭირო თანხის 1 760 ლარის გადასახადისგან;

2. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №1023 – სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის მეოთხე კურსის №1001 ჯგუფის სტუდენტი მერაბ მაისურაძე განთავისუფლებულ იქნეს 2013-2014 ს/წ სწავლის საფასურის გადასახადისგან;

3. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №1026 – სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტები: მირიან სამხარაძე და ირაკლი ფსუტური განთავისუფლებულ იქნენ 2013-2014 ს/წ სწავლის საფასურის 50 % გადასახადისგან;

4. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №1044 – დაკმაყოფილდეს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის პროფესიული სწავლების სტუდენტის ნიკა დომიანიძის განცხადება და იგი განთავისუფლებულ იქნეს დამატებითი ერთი წლის კრედიტების გადასახადისგან;

5. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №1041 – სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დოქტორანტების: ნიკო ცუცქირიძისა და

არჩილ სურმაგას 2013-2014 ს/წ სწავლის საფასურის დაფარვა მოხდეს უნივერსიტეტის ფონდიდან;

6. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №1055 – დაკმაყოფილდეს სტუ-ს სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პროფ. ა. აბშილავას შუამდგომლობა და სტუდენტი ვ. მჟავანაძე განთავისუფლებულ იქნეს 2013-2014 ს/წ სწავლის საფასურის გადასახადისგან და თანხის დაფარვა მოხდეს უნივერსიტეტის ფონდიდან;

7. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 იანვრის დადგენილება №1067 – დაკმაყოფილდეს სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დოქტორანტის თეოდორე ზარქუას თხოვნა და მისი სწავლის საფასურის დაფარვა მოხდეს უნივერსიტეტის ფონდიდან;

8. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 4 მარტის დადგენილება №1099 - დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბ-ნ ვ. ყოლბაიას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის ქ-ნ ნ. ბაქრაძის შუამდგომლობები და სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პირველი კურსის მაგისტრანტი თამარ შაკაია და სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის პირველი კურსის მაგისტრანტი მერაბ შაკაია, როგორც აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის შვილები, განთავისუფლებულ იქნენ მაგისტრატურაში სწავლის საფასურის გადასახადისაგან და თანხა დაიფაროს ფაკულტეტების ბიუჯეტებიდან;

9. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 4 მარტის დადგენილება №1098 - დაკმაყოფილდეს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პირველი კურსის დოქტორანტის ნინო დარახველიძის თხოვნა და სწავლის მთელი პერიოდის დაფარვა მოხდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან;

10. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 12 თებერვლის დადგენილება №1076 - სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანატმა უზრუნველყოს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სტუდენტ თამარ ივანიშვილის ერთი წლის სწავლის საფასურის დაფარვა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან წილობრივი მონაწილეობით;

11. სტუ-ს სტუდენტური მუსიკალური პროექტი „სტუსტარი-2013“-ის გამარჯვებული, სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გოგა მელქაძე ჯილდოს სახით განთავისუფლებულ იქნეს 2013-2014 ს/წ სწავლის საფასურის გადასახადისგან (სულ - 2 250 ლარი), ხოლო დანარჩენი 13 მონაწილე თანდართული სიის მიხედვით (დანართი №1) სტუდენტური მუსიკალურ პროექტ „სტუსტარი-2013“-ში წარმატებული მონაწილეობისათვის ჯილდოს

სახით განთავისუფლებულ იქნენ 2013-2014 ს/წ სწავლის საფასურის 50% გადასახადისგან (თითოეულ სტუდენტს - 1 125 ლარი). სულ ჯამში განთავისუფლებულთა გადასახადის მოცულობა შეადგენს - 16 875 ლარს.

შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებათა საფუძველზე, სწავლის გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნეს 27 სტუდენტი, რაც თანხობრივად შეადგენს - 50 885 ლარს.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სენატის

2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი ე.წ. ქსეროგრაფიის ცენტრის გაუქმების შესახებ.

სენატმა დაადგინა: გაუქმებულ იქნეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი ე.წ. ქსეროგრაფიის ცენტრი.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს გასაიჯარებელი ფართების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს გასაიჯარებელი ფართი, კერძოდ: მე-6 კორპუსის გარე ფასადი სარეკლამო ბანერის განთავსების მიზნით, 2 წლის ვადით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 16 აპრილის =51 სხდომაზე სტუ-ს სენატის წევრმა, პროფ. ზურამ ლომსაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებების განხილვის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცებულ იქნეს სტუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების, კერძოდ, პერსპექტიული განვითარების სამსახურის, სწავლების დეპარტამენტის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტისა და დიპლომების განყოფილების დებულებები.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე